საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული მომზადების პროგრამა

კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

თბილისი
2020

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
პროგრამის სახე: ■ პროფესიული მომზადება □ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 2 ■ 3 □ 4 □ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15 ერთდროულად შესაძლებელია 2 ჯგუფის, 30 მსმენელის სწავლება
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში ან საკუთარი მოხმარებებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების

გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია: 1. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია და გამართვა; 2. გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია; 3. საოფისე პროგრამებთან მუშაობა; 4. ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 5. ქსელური მოწყობილობების დამისამართება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძ. N018, 02.03.2018; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №132, 09.08.2018)
პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ საბაზო განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის მოცულობა 144 საათია, აქედან შეფასებას დაეთმობა - 6 საათი. პროგრამა განხორციელდება 9 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 16 საათი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის AC სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, აგრეთვე შესაძლებელია მომზადების პროგრამის ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელება, სწავლებისას გამოიყენება Cisco-ს მასალები. მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.